...ოლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

წელიწადი მესამე

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 ტელეფ. 5—43
ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 164 ხუთშაბათი 19 ივლისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 164

დღიური

— ინგლისის თემთა პალატაში დეპუტატმა კირკვუდმა მთავრობას მკვლელები და ტაკი-მასხარები უწოდა.

— ლოზანაში მოხდა შეთანხმება მოკავშირეებსა და ოსმალეთს შორის.

— ლონდონში გაფიცულია 60.000 კაცი.

— პალესტინაში ხდება უმუშევარ ებრაელ ემიგრანტების გამოსვლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა **პარასკევს 20 ივლისს**

ერთიან პარტიულ დღეს

...ის წესრიგი წამოყენებული იქნეს რაიკომებისა და უჯრედების მიერ ტფილისის კომიტეტის მდივანი **რუბენი.**

ცირკულიარულად.

ს. კ. პ. უველა ოლქკომებს და მაზრკომებს

...ერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტისათვის კურსანტების არჩევის და განაწილების შესახებ.

ამხანაგებო!

...�ერ-კავკასიის უნივერსიტეტში ...ართველოს კომპარტიის დათმო... აქვს 70 ადგილი. გასაგზავნათ ...ული ამხანაგები უნდა გამოცხა... უნივერსიტეტში ა | წ. 15—30 ...ებრამდე. საჭიროა თავის დრო... ...ულებეგი ამხანაგების გულდასმით ...ჩევას, რომლის დროსაც უნდა ...ძლვანელოთ გაზ. „კომუნისტ“-ში 58 გამოქვეყნებულ წესებით უნი... ...ტეტში მიღების შესახებ. საქა... ...ოს პარტიულ ორგანიზაციებს ...ს ადგილები განაწილებულია ...ეგნაირათ:

1. ს. ს. კ. პ. კ. 4, 2. თბილისის კომიტეტი 15, 3. ბათომის 6, 4. სოხუმის 3, 5. ქუთაისის 5, 6. ოზურგეთის 6, 7. გორის 4, 8. თიონეთის 2, 9. თელავის 2, 10. სიღნაღის 3, 11. რაჭის 1, 12. ახალქალაქის 1, 13. ბორჩალოს 1, 14. ახალციხის 1 15. შორაპნის 2, 16. დუშეთის 1, 17. ფოთის 2, 18. ზუგდიდის 2, 19. ლეჩხუმის 1, 20. სამხრეთ-ოსეთის 3, 21. ახალსენაკის 3 22. სვანეთის 2.

ს. კ. პ. ც. კ-ის მდივანი **კახიანი.**

ც. კ-ის სააგიტ. საპროპაგანდო განყ. გამგე **ხაჭაპურიძე**

პუანკარეს დიპლომატიური დამარცხება

...ამას წინედ ვწერდით რუსეთ...ანგეთის დამოკიდებულების შე... და გავაკანთი მკითხველს ამ ...ეგენის დიპლომატიურ მიმოწე... ...რომელიც ეხებოდა საფრანგე... ...თავრობის მიერ დაკავებულ რუ... ...გემების საკითხს.

...ნარეს მოყავდა ორი „სამუთი“ ...ების დაკავების „გასამართლებ...

...ეთი“ პირველი: საბჭოთა მთავ... ...ორი რუსეთის სახელმწიფოს ...ორმალური“ წარმომადგენელი ...ცნობილი მთავრობა, გემების ...ნების მოთხოვნის უფლება კი, ...ერეს აზრით, აქვს მხოლოდ რუ... „ნორმალურ“ და ცნობილ ...ობას.

...ეთი“ მეორე: საფრანგეთის ...ობას უფლება ჰქონდა არ დაე... ...ფრანგეთსა და რუსეთს შო... ...ესეთის მოქალაქეებს შეუ... ...ეშრად აწარმოვონ სა... ...ან სავაჭრო საქმეები“.

...აღსანიშნავია პუანკარეს ...ა რუსეთის საგარეო ვა...

...ი რესპუბლიკაში გამოცხა... ...საგარეო ვაჭრობის მონო... ...ეარეო ვაჭრობა სავსებით ...ს ხელშია. ეს არის ერთი

„მბრძანებელი მწვერვალთაგანი“ საბჭოთა ხელისუფლების.

ბურჟუაზიული ქვეყნები, რომელთაც ვერ შესძლეს საბჭოთა ხელისუფლების დამხობა იარაღით, ცდილობენ მშრომელთა ქვეყნის დამონებას „მშვიდობიანი“ გზით, სხვათა შორის, საბჭოთა რესპუბლიკების კარების ფართედ გახსნით მათი ვაჭრების შემოსეესათვის, საბჭოთა მთავრობის მიერ ყოველგვარი კონტროლის და მონაწილეობის გარეშე.

და ამიტომ ბუნებრივია, რომ ისინი ილაშქრებენ ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ, რომელიც ერთგვარ კალაპოტში აყენებს მათ საგაჭრო ურთიერთობას ჩვენთან და უქვემდებარებს მას საბჭოთა აღმშენებლობის და მშრომელთა ბატონობის განმტკიცების მიზნებს.

ეს, რა თქმა უნდა, არ მოსწონთ მსოფლიო ბურჟუაზიას და მის ნების ყოფის გამომხატველთ, ბ. ბ. პუანკარეებს.

ამიტომაც, პუანკარე აცხადებს, რომ „რუსეთის ორგანიზაციები, რომელთაც მონოპოლია გამოცხადეს რუსეთის საგარეო ვაჭრობაზე, არ ჰქონდათ რა მათ ამის უფლება, საფრანგეთს მიაჩნია კერძო ორგანიზაციებად, მათ მიერ საფრანგეთში შემოტანილი საქონელი ექვემდებარება საერთო წესს და შეიძლება კონფისკაციით იქნას ჩამორთმეული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირები დაამტკიცებენ ამ საქონლის მესაკუთრეების უფლებას“.

ჩვენ აშ ჟამად არ შეუდგებით იმის გამორკვევას, თუ რა ღირებულება აქვს პუანკარეს ზემოდ მოყვანილ შენიშვნებს ჩვენი საგარეო ვაჭრობის შესახებ. პუანკარეს შეუძლია იდეოლოგიური ჯიუტობით იმეოროს, რომ საბჭოთა მთავრობა და მისი ორგანიზაციები კერძო ორგანიზაციებია. ფაქტი ამით მაინც ფაქტად რჩება; მიუხედავად პუანკარეს განზრახ დაბრმავებისა, მაინც აოსებობს საბჭოთა სახელმწიფო, საბჭოთა მთავრობა, საბჭოთა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები. სასაცილოა და სისულელე ასეთი თავის თავად მეტყველი ფაქტის უარყოფა.

უფრო სასაცილოა ის, რომ ასეთ პოზიციას პუანკარე თვლის საფრანგეთის მთავრობის რუსეთის ხალხსადმი მეგობრულ განწყობილების დასამტკიცებლად.

ყველამ ვიცით ამ „მეგობრულ განწყობილების“ ფასი. ის გამოიხატება საბჭოთა მშრომელების ჩახშობის და მათზე უღლის კვლავ დადგმის ცდაში.

პუანკარეს „მეგობრული განწყობილება“ ვერავის შეიყვანს შეცდომაში.

...ნომიო-საფინანსო ფერილები *)

II.

სახალხო ბანკი და მისი როლი.

(დასასრული).

...ად გრძნობიერი და სა... ...ტია. საზოგადოების სუ... ...ობილებას ის სწორად ... შიში და იმედი, კრძა... ...ტაცება დაუყოვნებლივ ...მოძახილს ბანკის მოღვაწ... ...ი ფუნქციების ესა თუ ...ტდება ან ვითარდება ...ვით, თუ რა ფაქტორი ...რია სახელმწიფოს ეკო... ...ვრებაში.

...ობა ჩვენში არ იყო ხელ... ...კის წარმოებითი მოქმე...

...ანკი სათანადო ტემპით ...ებოდა, შესაფერი თანხა ...ნ არ გროვდებოდა და ...ი ოპერაციები შესაფე... ...ით არ ვითარდება. ...ანკის ბალანსი 1923 წ.

...157 და 161.

ტებს და მათ შორის უმთავრესად საბჭოთა დაწესებულებებს და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, თანახმად მთავრობის მოთხოვნილების და ბანკის საბჭოს დადგენილებისა, საკურსო განსხვავებაში დიდი შეღავათი არ მიეცემოდათ. როგორც სახალხო ბანკის ანგარიშებიდან სჩანს, მხოლოდ ტფილისის ბანკს მათთვის 20 მილიარდ მანეთზე მეტი დაუთმია (1922 დეკემბრის თვის კურსით)

ასეთი იყო სახალხო ბანკის ბალანსი 1923 წ. 1 იანვარს.

უფრო დეტალური განხილვა სახალხო ბანკის ბალანსისა გვგვითვალისწინებს, თუ როგორ ვითარდებოდა ბანკის სხვა და სხვა ფუნქციები.

ბალანსის ნაშთების ერთი-მეორესთან შედარება ასეთ სურათს გვიხატავს.

	1922 წ.				1923 წ.		
	1|I	1|IV	1|VII	1|X	1|I	1|IV	1|VII
აქტივი	პროცენტებში						
კასსა, მიმდინარე ანგარიშები . . . ოქრო, უცხო ვალიუტა, საქონელი . .	34,62	9,06	9,01	4,62	14,0	11,0	6,49
განაღდება-გასესხება . .	0,09	1,33	4,41	11,90	20,57	17,84	20,71
კორესპონდენტები . .	40,48	65,22	62,69	55,33	43,27	41,35	46,16
მთავრობა . .	6,65	7,72	7,68	11,09	13,82	12,74	12,15
სხვა აქტივები	17,24	13,36	12,21	9,84	0,92	0,52	0,23
	0,92	3,31	4,0	7,22	7,42	16,55	14,26
პასსივი							
მიმდინარე ანგარიშები . .	20,05	6,92	8,20	7,58	8,66	14,32	8,46
სხვა და სხვა პასსიებები . .	5,36	12,45	14,57	15,44	19,36	34.31	37,94
კაპიტალები .	61,82	72,47	71,42	70,45	62,39	41,40	44,91
კორესპონდენტები . .	12,70	8,16	5,81	6,53	9,59	9,97	8,69

ბანკის ზრდის და წარმატების მთავარი დამახასიათებელი მონენტებია: **აქტივში**—განაღდება-გასესხების და საკორესპონდენტო ოპერაციების გაფართოვება **და პასსივში**—მიმდინარე ანგარიშების და სხვა პასსიებების ზრდა. ბანკის ოპერაციების მთავარი სახსარი მისი პასსიებების ზრდაშია.

მშვიდობიანობის და ნდობის ხანაში „მოქალაქე არამც თუ მსხვილ, მცირე თანხასაც არ ინახავს სახლში, სადაც ეს ფული მას შეიძლება კიდევაც მოპარონ და სადაც ყოველ-შემთხვევაში ეს ფული მას არავითარ მოგებას არ აძლევს, ამიტომ კულტურულ ქვეყნებში მოქალაქე შინ იტოვებს მხოლოდ რამოდენიმე დღის სახარჯო ფულს, დანარჩენს ის თავის მიმდინარე ანგარიშზე ბანკში ინახავს, სადაც ფულს არავითარი საშიშროება არ მოელის და პროცენტებს იძლევა. იქ ინახავს თავის თანხებს ვაჭარ-მრეწველი. ამნაირად, ბანკი ხდება მოქალაქეთა სალაროთ, სადაც გროვდება დროებითი თავისუფალი ნაწილი იმ ფულებისა, რომელიც სახელმწიფოში ტრიალებს. ბანკი ფულების ასეთი დაგროვებით ძლიერდება და ხდება სიმდიდრის დაუშრეტელი წყაროდ. ამ წყაროდან საზრდოობს ვაჭრობა მრეწველობა, რომელიც სესხის საშუალებით ამოძრავებს ქარხანას და ატრიალებს სანქონელს; ეს წყარო შრომის ასპარეზს აფართოვებს და ამ გზით ქვეყნის სიმდიდრის ზრდას უდიდეს დახმარებას უწევს.

ყოველგან, სადაც ბევრათ თუ ცოტათ ნორმალური მდგომარეობაა, მიმდინარე ანგარიშზე შემოტანილი თანხები მრავალჯერ აღემატება ბანკის ძირითად თანხას (რუსეთში მეფის დროს სხვისი თანხები კანონის ძალით შეიძლებოდა მხოლოდ ათჯერ მეტი ყოფილიყო ბანკის საკუთარი თანხისა) ჩვენი ქვეყანა დღეს არაა ასეთ ნორმალურ მდგომარეობაში. ჩვენს რესპუბლიკაში, როგორც საერთოდ საბჭოთა რესპუბლიკებში, დღეს ფული ძალიან ცოტაა ბრუნვაში (პირველ წერილში მოხსენებულია, რომ ს. ს. ფედერაციაში ოქროს ანგარიშზე ტრიალებს 120 მილიონ მანეთამდე) და სხვა მრავალი და მნიშვნელოვანი მიზეზებთან ერთად, ფულის ნაშნების ღირებულების თანდათან შემცირება ხელს უშლის ფულის ბანკში დაგროვებას. მოქალაქეს ფული ცოტა აქვს, მაგრამ ამ ცოტა ფულს ის ხელში ან ბანკში გაჩერებას ერიდება; ის ცდილობს თავისი თავისუფალი თანხა საქონლათ აქციოს, რომ ფულის სყიდვითი ძალის დაცემით მას ზარალი არ მოუვდეს (ქარხნის ყოველგვარი ნაწარმოების ღირებულება სწრაფათ მატულობს და ამიტომ ფულის სყიდვითი ძალა მცირდება). ასეთი მდგომარეობით აიხსნება ის, რომ სახალხო ბანკის პასსივში მიმდინარე ანგარიშები ჯერ-ჯერობით არ იზრდება, ის ვერ ასცილებია 12—8 პროც. მთელი პასსივისა.

სახალხო ბანკის ანგარიში ასე ახასიათებს მდგომარეობას: 1923 წ. 1 იანვრის ნაშთებთან შედარებით პირველ აპრილამდე ბალანსი გადიდდა 70 პროც., ხოლო პირველ ივლისისათვის—254 პროც. ცალკე აღებული ოპერაციები გვაძლევს ზრდის შემდეგ სურათს (ბონებზე):

	1923 წ. 1 იან.	1923 1 ივლ.
განაღდება-გასესხების ოპერაცია	— 66 პრ.	278 პრ
ბანკის თანხები	— 16 პრ.	156 პრ
მიმდინარე ანგარიშები	— 138 პრ.	238 პრ.

შედარებით განაღდება-გასესხების ოპერაციებს აქტივში წელსაც ისე, როგორც შარშან, პირველი ადგილი უჭირავს (41,35 და 36,16 პროც.), მეორე ადგილი ოქროს, უცხო ვალიუტას და საქონელს უჭირავს (17,84 და 20,71 პროც.); რაც შეეხება პასსივს—აქ პირველი ადგილი ბანკის თანხებს ეკუთვნის (41,40 და 44,91 პროც.) ხოლო მიმდინარე ანგარიშებს—მეორე ადგილი უკავია (14,32 და 8,4 პროც.).

განაღდება გასესხების ოპერაციების განვითარებას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს პასსივის მიმდინარე ანგარიშების განვითარებასთან. რამდენად უფრო სწრაფად იზრდება საერთოდ პასსივი და განსაკუთრებით მისი ნაწილი—მიმდინარე ანგარიშები, იმდენათ კრედიტი იაფდება და ის უფრო ხელმისაწვდომი ხდება. კრედიტის გაიაფება ხომ აუცილებელი პირობაა ვაჭრობა-მრეწველობის გაფართოვების და გამაგრების. სამწუხაროდ, როგორც ზემით ავღნიშნეთ, სახალხო ბანკის პასსიური ოპერაციები შედარებით თითქმის არ ვითარდება, თუმცა დღევანდელ მდგომარეობაშიც არის ისეთი პირობები და წყაროები, რომლებსაც შეეძლო სახალხო ბანკის თანხების შესამჩნევად გაძლიერება. ხალხის ინტერესების თვალსაზრისით სრულიად ბუნებრივია და მიზანშეწონილი, რომ საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებები თავის დროებით თავისუფალ თანხებს სახალხო ბანკში ათავსებდნენ. ეს ასე რომ ხდებოდეს, სახალხო ბანკი გაცდენებით უფრო მეტ დახმარებას გაუწევდა საქართველოს მეურნეობას. მაგრამ ეს ასე არ ხდება მიუხედავათ იმისა, რომ სახალხო ბანკი თითქმის ერთად ერთი საკრედიტო დაწესებულებაა, რომელიც მთელი თავის შეძლებით ემსახურება სახელმწიფო მეურნეობას და კოოპერატივებს.

სახალხო ბანკის ცალკე კლიენტთა ჯგუფების დავალიანების შედარება სავსებით ადასტურებს ნათქვამს. აი ციფრებიც:

	საბჭოთა დასსტ.	კოოპერატ. ორგან.	კერძო პირები ფირმები.
	პროცენტები.		
ვადა ქაღ. და სავაჭრო ვალდებულებანი .	73,83	—	26,17
განაღდ. თამასუქ. და თამასუქ. სპეც. ანგარ.	19,3	58,7	22,0
სპეც. ანგ. საქონლ. და საქონლ. საბუთები	57,30	29,17	13,53
საქონლის გარანტიით სესხი . . .	55,55	26,63	17,82
სესხი საქონლ. საბუთ. გარანტიით . .	—	—	10,0

საერთო ჯამი თითოეული ჯგუფის დავალიანების გამოიხატება ასე:

საბჭოთა დაწესებულებანი—54.08			
პროცენტი, კოოპერატ. ორგანიზაც.			
—25,28			
პროც., კერძო პირების და ფირმებისა—20,64			
პროც.			

ამ ციფრებიდან სჩანს, რომ განაღდება-გასესხების ოპერაციებში პირველი ადგილი (54,08 პროც.) საბჭოთა დაწესებულებებს ეკუთვნის, მეორე ადგილი—კოოპერატივებს (25,28 პროც.) და ამათ კი მოსდევენ კერძო პირები და ფირმები (20,64 პრ.). ასეთია ფაქტები ამ ფაქტებიდან უნდა გამომდინარეობდეს ორი სავალდებულო დებულება. **პირველი**—საჭიროა მოწესრიგდეს სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სახალხო ბანკის კრედიტით სარგებლობა, და **მეორე**—სახელმწიფო დაწესებულებები თავის

	1 იანვარს 1922 წ.	1 აპრილს	1 ივლისს	1 ოქტომბ.	1 იანვარს 1923 წ.
	პროცენტები.				
საბჭოთა დაწესებულებები—	85,5	60,4	70,8	60,1	78,5
კოოპერატიული ორგანიზ.—	1,6	16,1	11,9	16,5	6,7
კერძო პირები და ფირმები—	12,9	23,5	17,3	23,4	14,8

მცირეოდენი მომატება ემჩნევა კერძო პირების და ფირმების მიმდინარე ანგარიშებს. სახელმწიფო დაწესებულებათა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა მიმდინარე ანგარიშები არ მატულობენ.

ამ ფაქტების შესახებ სახალხო ბანკი თავის ანგარიშებში ამბობს, რომ „მიმდინარე ანგარიშების ვითარებაზე დიდი გავლენა აქვს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა დაწესებულებების დიდი უმრავლესობას, წინააღმდეგ წესდებისა (მ.51) და საქართველოს მთავრობის განკარგულებისა, თავისუფალი თანხა შენახული ქონდათ თავის სალაროში და არ შექონდა სახალხო ბანკში თავის მიმდინარე ანგარიშებზე“. მიმდინარე ანგარიშების რიცხვის სიმცირე ბანკს იძულებულ ყოფს მუდამ მზად ქონდეს მიმდინარე ანგარიშებზე შეტანილი თანხები, და ასეთ პირობებში შეუძლებელია ფულის გასესხება და, მაშასადამე, საქტივო ოპერაციების გაფართოვება.

ეს მდგომარეობა ძირითადათ შეიცვლებოდა იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული დაწესებულებები და ორგანიზაციები მათ თავისუფალ თანხებს სახალხო ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე შეიტანდნენ. როდესაც მიმდინარე ანგარიშების რიცხვი გამრავლდება და თანხა გაძლიერდება, ბანკი თავის საქტივო ოპერაციებს გაიაფართოვებს, მეტი სესხის გაცემას შესძლებს, და კერძო პირები და ფირმებიც ამ შემთხვევაში მეტ ფულს შემოიტანენ მიმდინარე ანგარიშებზე.

მხოლოდ ასე და ამ გზით შეიძლება ბანკის პასსიურ თანხის თვალსაჩინოთ გადიდება, რაც დიდ გავლენას იქონიებს საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაზე.

იმედია, სახალხო ბანკის მდგომარეობას და მის დიდმნიშვნელოვანებას ჩვენს ცხოვრებაში ჯეროვანი ყურადღება მიეცეცა, თბილისში და პროვინციებში მის სალაროებში დაგროვდება საქართველოს ყველა თავისუფალი თანხები; ხალხის ინტერესები, მთელი ქვეყნის ინტერესები ამ მოთხოვნილებას უყენებს სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერატივებს და კერძო პირებს და ფირმებს. ამ პრინციპიალური, ეკონომიური და ფინანსიური თვალსაზრისით სწორი მოთხოვნილების შესრულება და როგორც ამ მოთხოვნილების შესრულების შედეგი—სახალხო ბანკში შედარებით დიდ-ძალი თანხის დაგროვება სახალხო ბანკს მისცემს საშვალებას მეტი დახმარება აღმოუჩინოს ჩვენს მეურნეობას, ჩვენს ვაჭრობა-მრეწველობას და მთელი ქვეყნის ეკონომიურად აღორძინებას და ფინანსიურად გაჯანსაღებას.

ჩვენი მეურნეობა ასეთ მოვალეობას აკისრებს სახალხო ბანკს, და ჩვენზეა დამოკიდებული, შევაძლებინებთ თუ არა მას, რომ მან პირნათლად შეასრულოს თავისი როლი ჩვენს ცხოვრებაში.

მეგობარი.

სკოლის მოვალეობა სოფლად

საბჭოთა ხელისუფლებამ სოფლად დიდი ცვლილებები მოახდინა იმ მხრივ, რომ მემამულეებს ჩამოართვა მიწა, გადასცა ის მშრომელ გლეხობას და ამ რიგად მოსპო და გაანადგურა მყვლეფელთა კლასი. ეს თავის თავად დიდი რევოლიუციაა, მაგრამ ამით ჯერ კიდევ არ შეცვლილა გლეხის ის პსიხოლოგია, რომელიც აღმოცენებულია თავისი საკუთარი კერის შექმნაზე. გასაბჭოების პირველ დღეებში ჩვენ ვცადეთ ამ მხრივ შეგვეტანა გლეხის ცხოვრებაში გარდატეხა, მაგრამ ჩვენმა ცდამ კოლექტიური მუშაობის შემოღებისა ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი: გლეხის პსიხოლოგია, აგებული საუკუნეებით განმტკიცებულ კერძო საკუთრებაზე, ვერ ეგუება კოლექტიურ მეურნეობას, ის გაურბის მას, ძალდატანება აქ შეუძლებელია და, თუ მემამულეთა კლასის განადგურება, ასე ვსთქვათ, ერთი დაკვრით მოხდა, გლეხის ცხოვრების გარდაქმნა კოლექტიურ ნიადაგზე წლეებს და ათეული წლეების საქმეა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაწყებულ მუშაობას ამ მხრივ თავი მივანებოთ. პირიქით, საჭიროა მთელი ჩვენი ენერგიის ამოწურვა ამ ნიადაგზე, რომ გაუშუქოთ გლეხს ახალი ცხოვრების უპირატესობანი. რომ ეს შეასრულოთ, არ კმარა მარტო სიტყვები, აქ საჭიროა ცოდნა და საქმე; ცოდნა აგრონომიული, რასაც დღეს ჩვენი სოფელი საოსებით მოკლებულია. ჩვენი ქვეყანა სასოფლო მეურნეობის ქვეყანა არის და სწორეთ მეურნეობის ცოდნას ვაქცევთ ნაკლებ ყურადღებას; ჩვენ ორი-სამი სამეურნეო სკოლა თუ მოგვეპოვება და ისინიც ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ კურს დამთავრებულნი ან უმაღლეს სასწავლებლებში მიეშურებიან, ან მოხელეებათ ხდებიან და, ამ გვარად, მეურნეობას გაურბიან. რაშია საქმე? განა მეურნეს ჩვენს ქვეყანაში, რომელიც აფერადებულია ბუნების სიმდიდრით, სამუშაკი არა აქვს?

წვრილი მიწად სარგებლობის პირობებში სასოფლო მეურნეობა ვერ განვითარდება იმ სახით, როგორაც ჩვენ გვინდა, თუ აქ არ იქნა შეტანილი სხვა ელემენტები. ბევრჯელ გამგონია, და მართლაც არის, ტრაქტორი სოფლის მეურნეობაში მთელს რევოლიუციას მოახდენსო, მაგრამ გლეხი თავის ექვსი-შვიდი ქცევა მოწესათვის ტრაქტორს არ გაიჩენს და არც აგრონომს დაიქირავებს. საჭიროა არას გლეხს ვაჩვენოთ განვითარებული მეურნეობის სიდიადე; ეს-კი უნდა ნაიდინოს სახელმწიფომ. ამ მხრივ მუშაობა ჯერ-ჯერობით ძლიერ ზანტათ მიმდინარეობს. საჭიროა ეხლავე საჩვენებელი მინდვრების გაჩენა; შეიძლება ეს მოხდეს სახელმწიფოს ხელით და გლეხების ჩარევითაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საშვალებით. აი ნიადაგი მეურნეობის ასამაღლებლათ სოფლად, გლეხების კოლექტიური შრომაში ჩასათრევად და აგრონომიული ცოდნის გამოსაყენებლათ. ეს არის ჩვენი აუცილებელი გზა და ამ გზით სვლა დაუყოვნებლივ უნდა ვიწყოთ. მართალია აქა-იქ ამ მხრივ ცოტა რამ კეთდება, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. საჭირო არის საქმის გაფართოება, მეტი ენერგიის გაღება. პარალელურად საჭირო არის სოფელში გაიხსნას მეტი რიცხვი სამეურნეო სკოლებისა, სოფლად საჭირო არის სკოლამ დაისახოს მიზნათ, გარდა საერთო განათლებისა, მეურნეობისათვის ხელის შეწყობა. საჭირო არის სკოლა გადავაქციოთ სოფლად აგრონომიული ცოდნის კერად და ამ რიგად გლეხთან ახლოს მივიტანოთ ის საქმე, რომელიც აუცილებელი საჭირო არის მის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მისი მამა-პაპაურ კვეიდან გაუმჯობესებული მეურნეობაზე გადასვლისათვის. აგრონომიულ ცოდნასთან ერთად სკოლა უნდა იძლეოდეს კოოპერატიულ ცოდნასაც. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციას დღევანდელ პირობებში, ყველასათვის აშკარაა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენმა მასწავლებელმა ამხ. ლენინმა მიაქცია მას ყურადღება და თავისი უტყუარი და ბრძნული დაფასება მისცა. მაშ, დღეს სასკოლო პოლიტიკა სოფლად უნდა მდგომარეობდეს, გარდა საერთო განათლების გავრცელებისა, აგრონომიულ და კოოპერატიულ ცოდნის გავრცელებაში. სკოლა გლეხს გვერდში უნდა ამოუდგეს, ის უნდა აამაღლოს გონებრივათ და პრაქტიკული ცოდნითაც შეიაიარაოს თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას. მაგრამ, როგორც ზევით ვთქვი, საჭირო არის სახელმწიფოს ჩარევა საცდელ საჩვენებელი მინდვრების, სასოფლო-მეურნეობის კოოპერატივების შექმნით და სხვ.

ასეთი საშვალება და აღნიშნული სასკოლო პოლიტიკის გატარება წაიყვანს სოფელს შეურყეველათ იმ მიზნის განხორციელებისაკენ, რომელიც დასახული აქვს საბჭოთა ხელისუფლებას.

ა. ჭ.

მენშევიკური პარტია აღსასრულის წინ

მეოთხე რაიონის ყოფილ მენშევიკების კონფერენცია

პარასკევს. 20 ივნისს, საღამოს 6 საათზე მბეჭდავთა კლუბში (რუსთაველის პრ. ყოფ. როტონდის სტამბის შენობა) შესდგება მეოთხე რაიონის ყოფილ მენშევიკების კონფერენცია.

კონფერენციას შეუძლია დაესწროს როგორც ყოფილ მენშევიკებს, ისე, იმათაც, რომლებიც ჯერ კიდევ არ გამოსულან პარტიიდან.

დღის წესრიგი:

1. ამხ. ლუკაშევიჩის მოხსენება მენშევიკების ცეკას რეზოლიუციისადმი დამოკიდებულების შესახებ.

2. ამხ. რუხაძის მოხსენება: „დემოკრატიისა თუ პროლეტარიატის ხელისუფლება“.

3. არჩევნები ხაქალაქო კონფერენციაზე.

საინიციატივო ბიურო.

ყოფილ მენშევიკურ პარტიის ქუთაისის სამაზრო კონფერენცია

კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლიუციები და მიმართვები.

რეზოლიუცია ამხ. მარტინოვის მოხსენების გამო.

საქ. სოც. დემ. მუშ. პარტ. (მენშევიკების) ქუთაისის მაზრის კონფერენცია, მოისმინა რა მან ვრცელი მოხსენება ამხ. მარტინოვისა თემაზე „ბოლშევიზმი და მენშევიზმი“, სრულიად ეთანხმება მომხსენებლის მიერ გამოთქმულ აზრებს; მომხსენებელთან ერთად კონფერენცია აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ჯერ კიდევ პირველ რევოლიუციის დროს—მენშევიკური პარტია—თვლიდა რა რუსეთის რევოლიუციას ბურჟუაზიულ რევოლიუციათ—გაურბოდა იმ მდგომარეობას, როდესაც საჭირო იქნება ძალა-უფლების ხელთ აღება.

ძველი დავა ბოლშევიკებსა და მენშევიკებ შორის ისტორიულად გადაწყდა ბოლშევიკების სასარგებლოთ და მენშევიკების წინააღმდეგ ჯერ კიდევ მსოფლიო იმპერიალისტურ ომის დროს; მეორე ინტერნაციონალის გაკოტრებასთან ერთად—გაკოტრდა ამ ინტერნაციონალის რუსეთელი რაზმი—რუსეთის მენშევიზმი, რომელმაც—დადგა რა ის ბურჟუაზიასთან კოალიციის და ბურჟუაზიულ-პატრიოტულ მოძრაობის გამოყენების პოზიციაზე, არამც თუ არ უპასუხა ომს რევოლიუციით, არამედ ის ყოველმხრივ აფერხებდა პროლეტარულ მასების მოძრაობას ომის წინააღმდეგ. როდესაც დაიწყო თებერვლის რევოლიუცია,—მენშევიზმი მიეკანებოდა რა სულ ქვევით, შეეკრა კოალიციით ბურჟუაზიას, რის შედეგათ მივიღეთ ის, რომ კოალიციურ მთავრობაში მენშევიკების მონაწილეობის განმავლობაში არ გადაწყვეტილა რევოლიუციის სასარგებლოთ არც ერთი საკითხი.

ოქტომბრის გადატრიალების მართ მენშევიზმმა დაიჭირა აქტიური მოწინააღმდეგე პოზიცია; იგი ჩაება ნამდვილ ბრძოლაში პროლეტარულ ხელისუფლების წინააღმდეგ.

განსაკუთრებით სამარცხვინოთ დაეცა ქართული ნაწილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა, ის ნაწილი, რომელიც პირველ რევოლიუციის დროს წარმოადგენდა მეტად მებრძოლ და რევოლიუციონერ ნაწილს რუსეთის მენშევიზმისა; ოქტომბრის შემდეგ იმათ—საქართველოს მენშევიკებმა თავის ბელადების მეთაურობით დაიკავეს ისეთი პოზიცია, რომელის პასუხისმგებლობაზე უარი განაცხადა თვით რუსეთის სოც. დემოკრატიულ პარტიის ცეკამ: იმ დროს, როდესაც,—წარსულში ქართველი მენშევიკების ლიდერები,—საწინააღმდეგოთ ბოლშევიკებისა, იყვნენ ნამდვილი დიდი რუსეთის პატრიოტები—მათ დიდი სიჩქარით იბრუნეს გვერდი და გადაიქცენ ქართველ ნაციონალისტებათ; მათ გამოყვეს საქართველო რუსეთს მხოლოდ იმისაგან, რომ შემოეფარგლათ თავი ოქტომბრის რევოლიუციისგან და თანდათანობით შეემზნეს საქართველოში ნამდვილი პლაცდარმი—კონტრ-რევოლიუციის ძალების შესაგროვებლად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ; იმის მაგივრათ, რომ მიეცათ ნამდვილი დამოუკიდებლობა საქართველოსთვის, მათ გადაამაგეს ის იმპერიალისტური ქვეყნების იარაღათ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ.

ასეთ პირობებში წითელი ჯარის შემოსვლა საქართველოში, რომლის ინიციატივა გამოდიოდა მხოლოდ ქართველ კომუნისტებისაგან—ნიშნავდა განთავისუფლებას საქართველოს მშრომელი ხალხისა, როგორც საკუთარ ფეოდალებისა და ბურჟუაზიისაგან, ისე დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურ ქვეყნების ბატონობისაგან.

გამოსული ყოველივე ზევით ნათქვამიდან,—კონფერენცია მომხსენებელთან ერთად მოუწოდებს ყველა მენშევიკებს მიანებონ თავი მენშევიკურ პარტიას და გაუქმებულად გამოაცხადონ ის, როგორც პარტია, რომელიც შესდგა კონტრ-რევოლიუციის გზაზე; აგრეთვე საქართველოს პროლეტარების და ღარიბ გლეხობის რევოლიუციონერი სახელის გადასარჩენათ მოუწოდებს მათ—დადგეს ყველა წითელ დროშის ქვეშ კომინტერნისა, რომელიც მხოლოდ ერთი აწარმოებს ნამდვილ და შეურიგებელ ბრძოლას ევროპის და კოლონიალურ აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხების განსანთავისუფლებლად და რომელსაც მხოლოდ ძალუძს მიიყვანოს პროლეტარული მასები, პროლეტარიატის დიქტატურის და მის გლეხობასთან კავშირის საშუალებით—სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდი მთელ მსოფლიოში.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

გაუმარჯოს ყველა ნამდვილ და პატიოსან რევოლიუციონერების გაერთიანებას მუშათა კლასის სისხლით შეღებილ წითელი დროშის ქვეშ კომუნისტური ინტერნაციონალ

ციის—ერთხელ უკვე წაგებულ რევოლიუციის—საბოლოოდ მოგებას.

მოლოდინი არ გაცრუვდა; რუსეთის პროლეტარმა ჯარისკაცს ფარაჯაში გახვეულ გლეხის დახმარებით დაამსხვრია მეფის და შემდეგ ბურჟუაზიის და ბურჟუაზიასთან შეთანხმებულად მომქმედი მემარჯვენე სოციალისტების ბატონობა.

ოქტომბრის რევოლიუციამ გამარჯვება მიანიჭა მშრომელ ხალხს, რომელმაც მისი საშუალებით მოიპოვა ის, რაც ყველაზე უპირველესად საჭირო იყო მისი საბოლოო გამარჯვებისათვის—სოციალიზმის დამყარებისათვის—მშრომელ ხალხის ძალაუფლება პროლეტარიატის დიქტატურის სახით, რომელიც ჩამოყალიბდა საბჭოთა ხელისუფლებაში, მუშების და გლეხების დეპუტატების საბჭოების მმართველობაში. ოქტომბრის რევოლიუცია იყო უდიდესი გამარჯვება არა მარტო რუსეთის მშრომელი ხალხის, არამედ მთელი მსოფლიოსი; ეს იყო სასიკვდილო ლახვარი მსოფლიო ბურჟუაზიის გულში ჩაცემული და, ცხადია, ამ რევოლიუციის გამარჯვებას, აბა, როგორ შეურიგდებოდა ეს ბურჟუაზია; და დაიწყო ისტორიაში არ ნახული, კაცობრიობის არც ერთ წევრის მიერ ჯერ კიდევ არ ნაცადი—ხანგრძლივი, უდიდესი მსხვერპლებით აღვსილი, დაუზოგავი,სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა—ერთ ქვეყანაში გამარჯვებული მშრომელი ხალხისა—მთელი მსოფლიოს რეაქციონურ, მისდამი უსაზღვრო სიმძულვარით აღვსილ ძალების წინააღმდეგ. განუზომელი, საარაკო გმირობა—მოთმინება და სიყვარული რევოლიუციისადმი გამოიჩინა ოქტომბერში გამარჯვებულ რუსეთის მუშათა კლასმა; სიმშილში, სიცივეში, მოკლებული თითქმის ყოველივე იმას, ურომლისოდაც ვითომცდა წარმოუდგენელიც არის ადამიანის ცხოვრება, —მარტოდ-მარტო, აქეთიურ სამოქმედო ბრძოლის ფრონტზე, მან, რუსეთის გმირმა მუშამ და ღარიბმა გლეხმა დაგლიჯეს მონობის ხლართები, მიღეწ-მოღეწეს კონტრ-რევოლიუციის შავი კედლები და სოციალისტური სამშობლო, ოქტომბერში მოპოვებული, გადაარჩინეს დაღუპვას;—მსოფლიო მუშათა კლასს გადაურჩინეს ერთად ერთი ქვეყანა—სადაც ამაყათ დღეს ფრიალებს პროლეტარული დროშა.

ამ ბრძოლებში საქ. ხალხი არ ჩანდა; რუსეთის მუშისა და გლეხის ყველაზე უფრო საყვარელი, ყველაზე უფრო მეგობარი—ქართველი გლეხი და მუშა არ სჩანდა აქტიურად ამ ბრძოლებში რუსეთის მშრომელებთან ერთად. მართალია ქართველი მშრომელი იბრძოდა ოქტომბრის რევოლიუციის გასამარჯვებლად ლეჩხუმში, გურიაში, დუშეთში, გორში, სამეგრელოში, აფხაზეთში,—მაგრამ ეს ბრძოლები მაღე დამარცხდენ—სისხლში ჩაახვრჩენ; გადამწყვეტ ბრძოლების დროს კი, როდესაც წყდებოდა ბედი ოქტომბრის რევოლიუციისა მოსკოვთან და პეტერსონან,—ჩვენ, ქართველი ხალხი,—აქ საქართველოში ჩვენ „საკუთარი“—ნამდვილად კი ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალიზმის საქმეს ვაკეთებდით.

ვინ იყო მიზეზი—ამ საშინელ, წარმოუდგენელ, დაუჯერებელ, მაგრამ მაინც ფაქტად ქცეულ ბოროტებისა, შერცხვენისა, გათიშვისა რუსეთის მშრომელი ხალხისაგან:—შენ ქართველო მშრომელო ხალხო? არა.—არას დროს. ეს შენ საკმაოთ დაამტკიცე. დაღვრილ სისხლით საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში, შენ საკმაოთ დაამტკიცე ეს. შენ გულში, ქართველო მშრომელო, ყოველთვის იყო და იქნება ის უდიდესი გრძნობა, ის უმშვენიერესი შეგნება, რომელითაც შენ ყოველთვის საყვარელი იყავი რუსეთისა და მთელი მსოფლიო მუშათა კლასისათვის და რომელითაც ასე ამაყობდენ რევოლიუციონერები და პირველ რიგში ქართველი რევოლიუციონერები—ეს იყო შენი ფართო და ღრმა გაგება ყველა ერების მშრომელებთან კავშირისა, კერძოთ რუსეთის მუშათა კლასთან ერთად ყოფნისა ლხინში და გაჭირვებაში, შენი ფართო ინტერნაციონალიზმი,—ეს საამაყო თვისება შენ ყოველთვის გქონდა, ქართველო მშრომელო.

და თუ კი შენ მიუხედავათ ამისა, შენ მაინც ჩამოშორდი ოქტომბრის რევოლიუციისთვის მებრძოლ რუსეთის მშრომელ ხალხს,—ეს შენ ჩამოგაშორეს ძალით, შენ მოგგლიჯეს შენს საყვარელ მეგობარს, ჭირში და ლხინში ნაცად მეგობარს.

ვინ მოიმოქმედა ეს: იმ პირებმა, რომლებსაც ჩაუვარდა ხელში შენი ბედის მესვეურობა; რომლებმაც შესძლეს შენი მართვა-გამგეობის საკის ხელთგდება; ჩვენი პარტიის—მენშევიკური პარტიის ბელადებმა; მაგრამ ხანგრძლივი არ გამოდგა ეს შენი გათიშვა. რეაქციის საქმის ბანაკში გადასვლოლა: უკვე გაერთიანდა დარღვეული ფრონტი; მენშევიზმის შემცდარი ხაზი, რომელიც ობიექტიურად გამოდგა რეაქციის საქმე,—ხაზი, რომელსაც ჩვენ მენშევიკ მუშებს გვაკეთებინა რევოლიუციის საწინააღმდეგო საქმე,—ეს ხაზი გამოსწორებული იქნა: 1921 წლის 25 თებერვალს ქართველი ხალხი კვლავ ჩაუდგა მშრომელთა საერთო ფრონტს რევოლიუციის გამარჯვებისა. უკვე ორ წელზე მეტია, რაც საბჭოთა ხელისუფლება მეთაურობს საქართველოში და ამ ხნის განმავლობაში მან ნათლად დაგვანახა ყველა მუშებს და გლეხებს, რომ იგი არის ნამდვილი ხელისუფლება მუშებისა და გლეხების; იგი არის ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია ცხოვრებაში ნამდვილად განავითაროს, დაიცვას და გააბაგროს ჩვენი ერის კულტურა, წინსვლა და სამეურნეო აყვავება. ამან თვალები აგვიხილა ჩვენც, საქართველოს სოც.-დემოკრატიის დიდ უმრავლესობას—მუშურ-გლეხურ მის ნაწილს. მართალია არიან კიდევ ბნელი პირები, ბნელი ძალები—რევოლიუციის ნამდვილი მტრები, რომლებიც ცდილობენ დააშორონ ქართველი ხალხი კვლავ რევოლიუციას, ჩაბაან იგი ახალ ბრძოლებში საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ, მაგრამ მათი უსუსური ფიქრი ოცნებაა მხოლოდ ავადმყოფ ადამიანებისა, ან და იმპერიალიზმით მოსყიდულ პირებისა.

ქართველი მშრომელი ხალხი ისე მაგარი ფოლადისებური ჯაჭვებით არის მიმაგრებული რუსეთის და მსოფლიო რევოლიუციებზე, რომ ვერავითარი ცდა სარდაფებში შემალულ ჩოლოყაშვილების და შავბნელ გენერლების მომხრე პირებისა—თუგინდ სოციალისტურ სამოსელში გახვეულთა—ვერავითარ ნაყოფს ვერ მიაღწევს.

ჩვენ, ქართველო მშრომელო ხალხო, მოგიწოდებთ შენ—ამიერიდან უყოყმანოთ, ერთხელ და სამუდამოთ ერთიან გაუთიშველ ფრონტით კიდევ უფრო მაგრათ დაუკავშირდე შენ საკუთარ ხელისუფლებას—საბჭოთა ხელისუფლებას—და მოკიდო ხელი მტკიცეთ იმ უდიდესი საქმის გაკეთებას, რომელსაც ეწოდება კომუნისტური წესწყობილების აგება.

ჩვენ კი—ჩვენის მხრივ ვდებთ პატიოსან ფიცს მშრომელებისა, რომ ვიქნებით თქვენთან ერთად მუდამ და უყოყმანოდ ამ უდიდეს საქმეში—მშრომელი ხალხის საოცნებო საქმის კომუნიზმის განხორციელების.

გაუმარჯოს ყველა ერების კავშირს.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

გაუმარჯოს ამ რევოლიუციის ერთპატარა, მაგრამ სასახელო რაზმს—ქართველ მშრომელ ხალხს.

მიმართვა ქართველ მშრომელ ხალხისადმი მიღებულ იქნა ერთხმად.

4. ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ ᲒᲐᲫᲪᲔᲣᲚ Ს. ᲓᲔ Მ. ᲞᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ.

მაღე შვიდი წლის ისტორია ექნება საბ. ხელისუფლებას რუსეთში და სამი წლის საქართველოში.

ეკონომიური მდგომარეობა საქართველოში დღითი-დღე უმჯობესდება. ქრონიკულ აჯანყებებს საქართველოში, რომელსაც ეპიდემიური ხასიათი ქონდა „დემოკრატიულ რესპუბლიკის ხანაში“, ბოლო მოეღო.

ერთა შორის ბრძოლა საქართველოს ტერიტორიაზე მწარე მოგონებად დარჩა.

საქართველოს ფაქტიური დამოუკიდებლობა დღითი-დღე მტკიცდება. კომუნისტური პარტიის მეთორმეტე ყრილობამ დამკვრელ საკითხად გამოაცხადა მოსპობა და აღმოფხვრა ძველი რეჟიმის რუსიფიკატორული პოლიტიკის ნაშთებისა. საქართველოს დაუბრუნეს ის განძეულობა, რომელიც გატაცებული იყო ძველი რეჟიმის დროს. უკიდურეს მტერს საბჭოთა ხელისუფლებისას ესპობა საშუალება ისპეკულიანტოს ქართველი ერის პატრიოტიზმზე. მხოლოდ „შეგნებული ან შეუგნებელი მტერი საქართველოში უარყოფს იმ ფაქტს, რომ საქართველო თავისუფალი და დამოუკიდებელი არის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების თავისუფალ ფედერაციის კავშირში. საქართველოს დამოუკიდებლობას და რევოლიუციის მონაპოვართ საფრთხე ელის იმ გადახრილ ელემენტებისაგან, რომლებიც საქართველოს ვითომც ჭირისუფლობენ, რომლებსაც ანტანტის იმპერიალისტური ძალები იყენებენ საკუთარ მიზნების მისაღწევათ.

საქართველოს ყოფილი მთავრობა მოკმედებს თანახმათ ანტანტის დირექტივებისა და ანაცვლებს ჩვენი ერის ინტერესებს ამ ძალას, რომელსაც ფაქტიურათ დატყვევებული ჰყავს ყოფილი მინისტრები საქართველოს „დემოკრატიულ რესპუბლიკისა“.

საქ. ს. დ. პარტიის ორიენტაცია დემოკრატიაზე და მეორე ინტერნაციონალზე იმპერიალისტური ორიენტაცია გამოდგა.

ამიერ-კავკასია და კერძოთ საქართველო აღთქმის ქვეყანას წარმოადგენს ანტანტისათვის და დასავლეთ ევროპის კაპიტალი მზათ არის იბრძოლოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ქართველი ერის უკანასკნელი სისხლის წვეთამდე.

საქართველოს ყოფილი მთავრობა, რომელიც შეურიგებელს პოზიციაზე დგას საბჭ. ხელისუფლების მიმართ, აწარმოებს დღეს უაღრესად რეაქციონურ და უაღრესად ანტი-ეროვნულ პოლიტიკას. საბჭოთა ხელისუფლების მოსპობაში დაინტერესებულია ის წრეები მხოლოდ, რომლებიც ადვილად ურიგდებოდენ რუსეთის თვითმპყრობელობის ბატონობას საქართველოში, ერთი მუჭა ბურჟუაზიული ზედა ფენი, რომელსაც სურს გარეშე ძალებთან შეთანხმებით მოახდინოს საქართველოში რევოლიუციის მონაპოვართა ლიკვიდაცია და უცხო კაპიტალთან ერთად საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობის მონობაში ჩაგდება.

საქართველოს მუშათა კლასმა ფეხით უნდა გათელოს ყოველივე ის, რასაც მას ასწავლიდა ს. დ. პარტია და ნოე ჟორდანია, ავტორი „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმის“, რომ მივიდეს იმ რწმენამდი, ვითომც იმპერიალიზმის დახმარებით და საბჭოთა ხელისუფლების მოსპობით საქართველო იქნება დამოუკიდებელი და ბედნიერი.

საქართველოს მუშათა კლასი გმობს ინტერვენციის და რეაქციის პოლიტიკას, რომელსაც აშკარად აწარმოებს ყოფილი მთავრობა.

ქუთაისის მაზრის ს. დ. პარტიის წევრთა კონფერენცია მოუწოდებს საზღვარ-გარეულ გადახეხნულ საქართველოს მოქალაქეთ—დაადწიონ თავი ანტანტის ხელში ტყვეობას, დაუბრუნდენ საქართველოს და აიძულონ ყოფილი მთავრობა, რათა მან მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას ჩაბაროს ის ქონება, რომელიც გაზიდულ იქნა საქართველოდან.

1700 წელი მენშევიკური პარტიისა, რომლებთა წარმომადგენელი შენ ვიკრიბეთ ჩვენ აქ დღეს და რომლებიც ამიერიდან ვიქნებით მედგარი დამცველნი ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკებისა და მათი ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიისა,—მოგიწოდებთ თქვენ — დაუბრუნდით სამშობლოს, მოდით გონს, გაიგეთ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება არის ისტორიული აუცილებლობა და მონაწილეობა მიიღეთ იმ დიად საალმშენებლო მუშაობაში, რომელიც სწარმოებს ჩვენს ქვეყანაში დღეს.

მიმართვა საქართველოდან გაქცეულ მენშევიკებისადმი მიღებულ იქნა ერთხმად.

5. ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲙᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲚᲔᲒᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲘ Ს. ᲓᲔ Მ. Პ. ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ.

გადადგით გაბედული ნაბიჯი,“სთქვით უკანასკნელი სიტყვა. თქვენ წრეში, რამდენადაც ამას გვიჩვენებს მრავალი მაგალითი, მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში არ ხედავენ თავის მოვალეობას. თქვენ შორის აღმათ მოიპოვებიან ისეთი პირებიც, რომლებიც მწარე გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ—ეს არის რეაქციის საკეთილდღეო მოღვაწეობა.

ისიც ცხადია ბევრისათვის, რომ ს. დ. მოძღვრებაზე აღზრდილი მოღვაწე და მუშა უნდა გმობდეს ინტერვენციას, გარეშე ძალაზე დაყრდნობას კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხედავდეს აღნიშნულ ტაქტიკაში საქართველოსათვის დამღუპველ პოლიტიკას.

არც ის უნდა წარმოადგენდეს საიდუმლოებას, რომ კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ მიმართული ოპოზიცია აკეთებს რეაქციის საქმეს, აწარმოებს ბრძოლას ანტანტის ინტერესებისადმი, ეხმარება ანტანტის ბოროტ-ნებებს, ეხმარება ანტანტის ბოროტ-ნებებს, ეხმარება ანტანტის ბოროტ-ნებებს

რად

ბუშათა ცხოვრება

ავჭალის წყალსადენის მუშებში

აღნიშნულ წყალსადენში ა. წ. 3 ივლისს მოხდა საერთო კრება ამხ. სერგეევის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იდგა საკითხები—მუშა კორესპონდენტის არჩევა და საბავშვო სახლის შესახებ. მომხსენებლად გამოდის ამხ. სარქისოვი, რომელიც აცნობს კრებას მუშათა გაზეთის მნიშვნელობას და აგრეთვე მუშათა კორესპონდენტისას, რომლებიც პრესაში აშუქებენ მუშათა ყოფა-ცხოვრებას. მუშათა კორესპონდენტად ერჩევა რუსულ ენაზე ირჩევა ამხ. **ლიუშმცევი**, ქართულ ენაზე **ყუბანეიშვილი** და სომხურ ენაზე ამხ. **ხუდანიანი.**

კრების ბოლოს ამხ. სერგეევი აკეთებს საინფორმაციო მოხსენებას ბავშვთა სახლის გახსნაზე კოჯორში, რომელსაც ამ ეამად სპირია რემონტი.

მუშებმა ერთხმად დაადგინეს მიეალმონ კეთილ დანაწყისს კავშირისას და ნახევარ დღის ხელფასი გადასდონ ამ სახლის სასარგებლოთ.

მუშრომელი—ნიკალ.

რკინის გზის მუშებში

მეისრეების დანიშნულება ფრიად სერიოზულია რკინისგზაზე.

მათ ევალებათ სწორი გზის ჩვენება ყოველმხრიდან მიმავალ-მომავალ ორთქლმავლებისათვის. როგორ მდგომარეობაშია გზა, სადმე საფრთხე არის თუ არა ორთქმავლების გასავლელ მანძილზე,—ყველა ასეთი ცნობების მიწოდება მეისრეების საქმეა. ამნაირათ მათი მუშაობა მეტად მნიშვნელოვანი და საჭიროა.

საერთოდ არ შემიძლია ვსთქვა და ტფილისის უბანში ჩვენი მეისრეები ფხიზლად ასრულებენ თავის მოვალეობას.

ჩვენ აქ გვსურს ავღნიშნოთ ის გარემოება, თუ რამდენად სრულდება ადმინისტრაციის მოვალეობა თავის მუშებისადმი.

ადმინისტრაცია ნაწილობრივ ვერ ასრულებს მოვალეობა-დაპირებას მუშებისთვის: 1) ზედმეტი საათების ნამუშევარის ანაზღაურება ძალიან იგვიანებს, თავის დროზე თითქმის არასოდეს არ რიგდება. 2) ჯამაგირების მიცემა სწარმოებს საქონლის მანეთის ვურსის მიხედვით, ყოველთვეში თავის დროზე და წინათვეში აღებულ ხელფასის რაოდენობით გადიდებული. პროცენტები კი ცალკე ეძლევათ, მაგრამ ძალიან დაგვიანებით. 3) „სპეცტანსაცმელ-ფეხსაცმელებში“ მუშებს მიეცათ მხოლოდ ფეხსაცმელები.

ყოველივე ეს ნაკლულოვანებანი აიხსნება უმთავრესად იმ გარემოებით, რომ დღემდი რკინის გზის წარმოება ზარალს იძლეოდა. მაგრამ ეს მდგომარეობა ამ ეამად თანდათან ისპობა და რკინის გზის შემოსავალი მატულობს, რასაც ჩვენის აზრით შედეგად მოყვება მუშების ყოველმხრივად დაკმაყოფილებაც.

მუშკორი ჩხმელი.

ცენტრალური მუშათა კლუბი.

ცენტრალურ მუშათა კლუბის წიგნთსაცავ-სამკითხველოს უკავია 3 დიდი ოთახი. ამათგან ორი ოთახი წარმოადგენს წიგნთსაცავს, ერთი კი სამკითხველოს. ოთახები საკმაოდ სინათლიანია და ფართე; პირველ ოთახში შემოსვლისთანავე ხდება მკითხველების აღრიცხვა; კედლები მოფენილია სათანადო პლაკატებით, სამკითხველოს ხასიათის ლოზუნგებით, წესრიგი, სისუფთავე და მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. სამკითხველოს განაგებს გამოცდილი, წიგნთსაცავ სამკითხველოს საქმის მცოდნე ქალი ნ. ენუქიძე, რომელიც სიყვარულით ასრულებს თავის კულტურულ დანიშნულებას. სამკითხველოს მოსდის ადგილობრივი გაზეთები რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე, აგრეთვე რუსეთის ჟურნალ გაზეთებიც მოიპოვება. კარგი იქნებოდა, რომ გაზეთები „კომუნისტი“ და „მუშა“ გამოეწეროს კლუბის ადმინისტრაციას ზედმეტი ეგზემპლიარი, რადგანაც მოთხოვნილება ამ გაზეთებზე მკითხველებში დიდია, კლუბს კი მოსდის „კომუნისტი“ მხოლოდ 3 ცალად და „მუშა“ 4 ცალი.

სხვაფრივ სამკითხველოს მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია.

მუშკორი ი. **ელიავშვილი.**

მივიწყებული მუშათა კუჭა

(ქალაქის სანიტარული კომისიის საყურადღებოდ).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მუშათა ქუჩებში არ იყო დაცული არავითარი სისუფთავე და არც განათებული იყვენ. ქალაქს თვითმმართველობის ყურადღება მიქცეული იყო იმ ქუჩებზე, სადაც მხოლოდ ბურჟუაზია ცხოვრობდა, როგორც სოლოლაკი და სხვა. ამ ქუჩების ყოველი კუთხე განათებული და სუფთა იყო. მეეზოები თეთრ ფართუკებით და ცოცხებით ხელში თითქმის მთელი დღე ყოველივე კუთხეებს უვლიდნენ და ასუფთავებდნენ, ქუჩებს რწყავდნენ დღეში სამჯერ. მუშათა ქუჩები კი სიბინძურეში იმყოფებოდნენ. ეს არც არის გასაკვირი ჩვენთვის, რადგან მაშინ მდიდართა ბატონობა იყო და ფუფუნებაში იმყოფებოდნენ ბურჟუა კაპიტალისტები.

დღეს კი, როდესაც ჩვენში დამყარებულია მუშათა ხელისუფლება, ეს მოვლენა უკვე ყოვლად დაუშვებელია. მე არ შევეხები ამ წერილში ყველა მუშათა ქუჩებს, ვიტყვი მხოლოდ „კომუნალური“ ქუჩის შესახებ. ამ „კომუნალური“ ქუჩის მდგომარეობის შესახებ უკვე გაზეთ „კომუნისტი“-ს № 64-ში ერთი ამხანაგი მოითხოვდა მე-5 რაიონის მილიციის სამმართველოდან, ვიდრე მე-2 გამასწორებელ სახლამდე ქუჩის განათებას; მაგრამ მას აქეთ თითქმის ოთხი თვეა და ჩვენ ჯერ ჯერობით არავითარ დამატებულ განათებას არ ვხედავთ და გვსურს გავიგოთ, რაშია საქმე? ამას გარდა ჩვენ ვხედავთ, რომ ტფილისის ტრამვაის მომრწყველი ვაგონით ირწყვება ქალაქის დიდი ქუჩები ტ ხშირადაც შეეხვდებით ხოლმე, რომ ეს ვაგონი მოდის „თავის მოდნამდის“ მაგრამ ზემო ხსენებულ მუშათა ქუჩაში კი არ შემოდის, ამის გამო ეს ქუჩა ძლიერ მტვრიანია, რადგან აქ დიდი მოძრაობას წარმოებს ავტომობილებით და სოფლიდან ჩამოსული ურმებით.

აუცილებლად საჭიროა, რომ ეს მუშათა ქუჩაც იქნეს მორწყული დღეში ერთხელ მაინც. ამასთან ერთად საჭიროა გაისინჯოს ყველა ეზოები, სადაც დაცული არ არის სისუფთავე, მოსალოდნელია დიდი ავადმყოფობაც. „კომუნალურ“ ქუჩაზე № 95 სახლთან ფეხსადგილი სიბინძურითაა ავსებული და მისი სუნი მოედო მთელს ეზოს. სახლის პატრონი კი არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

იმედი გვაქვს, რომ სანიტარული კომისია ეხლა მაინც მიაქცევს ყურადღებას ამ ყოვლად დაუშვებელ მოვლენას და მიიღებს შესაფერ ზომებს მუშათა ოჯახების ჯანმრთელობის დასაცავად.

მუშკორი გ. მ—შვილი.

მუშასა ქრონიკა

— **პროფტეხნიკური კურსები მუშებისთვის.** ლითონის განყოფილების მე-3 ავტო-სახელოსნოსთან დაარსდა და გაიხსნა ამ ეამად პროფტეხნიკური კურსები; კურსებზედ უკვე ჩაწერილია 80-დე მუშა ამავე განყოფილების ქარხანა სახელოსნოებიდან. მეცადინეობა კურსებზე უკვე დაიწყო, ხელმძღვანელობს გამოცდილი მასწავლებელი—ინჟინერი.

ქრონიკა

ა. კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტში.

— **ეროვნული საკითხი.** ა. კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა დაადგინა დაარსოს კომისია ამხ. ორახელაშვილის, ელიავას, თალიბლის, ჰუსეინოვის და ბოღდატიევის შემადგენლობით. კომისიის მიზანია ა. კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის მეორე სესიის ეროვნულ საკითხის შესახებ დადგენილების პრაქტიკულათ განხორციელება.

— **ხაბეოთა დაწესებულებების შეხწავლა.** ამავე კომიტეტმა დაადგინა დაარსდეს კომისია ამხ. ქართველიშვილის, ათაბეგოვის, თალიბლის და გენკინის შემადგენლობით საბჭოთა დაწესებულების შესასწავლათ და ხელმძღვანელობის გასაწევათ.

— **სახოფლო-სამეურნეო გადასახადი.** ა. კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტმა მიიღო პროექტი სასოფლო-სამეურნეო გადასახადში შეღავათის მიცემის შესახებ.

ჯანმრთელობის კომისარიატში.

— **ციებ-ცხელების წინააღმდეგ ბრძოლა.** ჯანმრთ. სახ. კომისარიატმა ციებ-ცხელების წინააღმდეგ საბრძოლველათ გააგზავნა მფრინავი რაზმები ზუგდიდში, ოზურგეთში, სენაკში, სამტრედიაში, კახეთში და ყარაიაზში.

რკინის გზაზე.

— **ნორმა დადებული საქონლის აღნიშვნა საწევრო წიგნაკებში.** ზაკტპოდან საქონლის ყიდვის დროს, საწევრო წიგნაკში უსათუოდ აღნიშნული უნდა იქნეს ნორმა დადებული საქონელი. მაგალითად: ზაქარი, თეთრი ფქვილი, მანუფაქტურა და ფეხსაცმელები.

— **ფქვილი იაფ-ფასებში.** ზაკტპომ შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. სახ. კომ. საბჭოს წინაშე თბილისის რკინის გზის მოსამსახურეებისთვის იაფ-ფასებში პურის ფქვილის დათმობის შესახებ.

— **თეთრეულის მიღება მოსკოვიდან.** ზაკტპომ მოსკოვიდან მიიღო დიდძალი დამზადებული თეთრეული (კაცის და ქალის), თეთრეულის გაყიდვა დაიწყება ამ დღეებში.

— **საქონლის განაწილება განყოფილებებს შორის.** „ზაკტპომ“ თავის განყოფილებებს დაუგზავნა სხვა და სხვა საქონელი ალექსანდროპოლში, ნახიჩევანში, ბაშურში, შორაპანში, სამტრედიაში, ფოთში, ქუთაისში და ბათომში.

— **ზაკტპოს გამგეობის პლენუმის მეოთხე სხდომა.** 5 აგვისტოს დანიშნულია ზაკტპოს გამგეობის პლენუმის მეორე სხდომა. დღის წესრიგში: მოხსენება სატრანსპორტო სექციების, მოხსენებები ადგილებიდან და მომავალი მუშაობის გეგმის გამომუშავება.

სხვა და სხვა.

— **საქონლის შემოტანა.** 16 ივლისს ბათომის ნავთსადგურში მოვიდა გემი „პელუტინი“, რომელმაც მოიტანა რამდენიმე ათასი ტონა საქონელი. გემი უკან გაბრუნებისას წაიღებს ნავთს.

— **თიონეთის სახალხო სახლის სასარგებლოთ,** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის თიონეთის სახალხო სახლს შესწირა 25 მილ. მან.

— **თვითმშრომელთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებაში.** აღნიშნულ საზ. კულტურულ-განმანათლებელმა სექციამ შეადგინა დრამატიული დასი უმთავრესად მუშახელოსნებისაგან. დასი უკვე შეუდგა სამზადისს მუშაობას. პირველათ წარმოდგენილი იქნება „ქრისტინე“.

— **ქართულ სომხურ მწიგნობარის ლაზარე ივანეს-ძე კარაპეტიანის ოცი წლის მოდგაწეობის აღსანიშნავად.** ახლო ხანში განზრახულია გაიმართოს სპპატივცემული საღამო ლაზარე კარაპეტიანის, რომელიც 20 წელიწადია დაუღალავათ მუშაობს ქართველი და სომეხი ერის დასაახლოებლათ, რაც გამოიხატება ქართული ლიტერატურის სომხურათ და სომხურიდან ქართულად გადათარგმნაში.

ინოვაციები

ს. ნიგოითი (ოზურ. მაზრა).

ნიგოითის თემში ხუთი სოფელი შედის: ს. ნიგოითი, ჩოლობარგი, ჭყონაგვარა, ქვიანი და ჯაპანა. დასახლებულ სოფლებში მთელი ზამთრის განმავლობაში არავითარი კულტურული გასართობები არ ყოფილა. ამას ხელს უშლიდა უმთავრესად სცენის მოყვარეების გულცივობა და სახალხო სახლის უქონლობა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ნიგოითის ყოფილ წმ. გიორგის ეკლესია გადაკეთდა სახალხო სახლად, გამოითქვა სურვილი დრამატიული წრის დაარსებისა, რაც კიდეც სისრულეში იქნა მოყვანილი. განსაკუთრებით მთავარი ყურადღება მიაქციეს ნიგოითის თემში, სოფლად გლეხთა განათლების სახალხო სახლების აღმშენებლობას.

1-ლ ივლისს ამ წრემ გამართა ფართე შინაარსიანი საღამო ადგილობრივ სახალხო სახლის სასარგებლოდ, საღამო კარგად ჩატარდა და შემოსავალიც საკმაო დიდი იყო.

სულ შემოვიდა 215.960.000 მანეთი, ხარჯების დაფარვის შემდეგ წმინდა შემოსავალი დარჩა 77.660.000 მანეთი, რომელი თანხიდანაც მეორე დღესვე დაკეთილი იქნა 4 ათასი კრამიტი სახალხო სახლის სახურავისათვის.

ამნაირად საღამოს მომწყობთა ენერგიით და საზოგადოების თანაგრძნობით შესაძლო გახდა კულტურულ საქმისთვის, როგორიცაა სახალხო სახლის აგება, მტკიცე საფუძვლის ჩაყრა.

მ. გ—ლი

ფერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო.

გთხოვთ მოათავსოთ თქვენ გაზეთში შემდეგი:

ქალაქში გავრცელებულია ხმა თითქო ს. მ. უს. ცენტროტრამოტის მანქანა, რომელიც მიდიოდა თბილისიდან-მანგლისში გადავარდა ხევში და ამით დაზიანდა მრავალი მგზავრი. ცენტროტრამოტის კოლეგია ამით აცხადებს, რომ თუმცა იყო ასეთი შემთხვევა 14 ივლისს პრიუტის მახლობლად, მაგრამ ეს მანქანა არ ეკუთვნოდა ცენტროტრამოტს, არამედ მანქანა იყო ა. კ. რკინის გზისა, და საექსპლოატაციოდ ჭქონდა გადაცემული ამხანაგობა „გზა“-ს.

ცენტროტრამოტის კოლეგია.

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს მე-163 ნომერში—ახალ ამბავში მოთავსებულია შემდეგი ცნობა: გაზ. „ზარია ვოსტოკას“ სტატბის მუშა-მოსამსახურეებისაგან არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლათ შემოსწირეს გაზ. „კომუნისტის“ ასაკრეფების გამოკლებით 17 მილ. და 850 ათ. მან.“.

სიმართლის აღსადგენად ვაცხადებთ შემდეგს: 7 ივლისს ჩვენთან ამოვიდა ჩვენი სტამბის ადგილკომის მდივანი და გვთხოვა შეძლების დაგვარად გაგვეღო წვლილი არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლათ. ჩვენ დიდის კმაყოფილებით მოვაწერეთ ხელი ამ შემოწირულებას. 7 ივლისს, როდესაც ავანსები დაგვირიგდა კანტორისაგან, ადგილკომმა მოისურვა ამ თანხის ჩვენთვის დაჭერა. ჩვენ ვთხოვეთ მას რადგან ეხლა ავანსი რიგდება და მომავალ შაბათს კი ჯამაგირებს დაგვირიგებენ, ეს თანხა დაიჭირეთ ჯამაგირიდანო. ყოველთვის ესე ხდებოდა: ხელს მოვაწერდით შეწირულებას და ფულს აძლევდა კანტორა და შემდეგ ჯამაგირიდან გვიქვითავდენ. გაზ. „ზარია ვოსტოკაში“-კი ვკითხულობთ, ვითომც ჩვენთვის მოემართოთ და ჩვენ არ გვესურვებიოს შეწირულებაზე ხელის მოწერა. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს ასე არ ყოფილა და გვიკვირს, რათ დასჭირდა ამ ცნობის ავტორს ასეთი მტკნარი სიცრუის გამოქვეყნება.

გაზ. „კომუნისტ“-ის ასოთ-ამწყობის მონდობილებით დ. თ—ძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება 46

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

1901 წ. დაბადებულ მოქალაქეთა ჯარში გაწვევის თაობაზე 1923 წ. აპრილის 10 თარიღითა და 36 №-რით გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. 1901 წ. დაბადებულ მოქალაქეთა ჯარში გაწვევის შესახებ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის 1923 წ. აპრილის 10-თარიღითა და 36 №-რით გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის მოქმედება შეჩერებულ იქნას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. ნაბაშვილი.**

1923 წ. ივლისის 16.

თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 47.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. ნაბაშვილი.**

1923 წ. ივლისის 16.

თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 48

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის

ბუღლო აცრის შესახებ.

რათა რესპუბლიკის მოსახლეობა დაცულ იქნეს ყვავილის ეპიდემიისაგან, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატი ადგენენ:

1. დაწესდეს რესპუბლიკაში ყვავილის სავალდებულო აცრა.

2. აცრა სავალდებულოა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელი მოსახლეობისათვის გამოუნაკლისად.

3. რევაქცინაცია სავალდებულოა ყველასათვის შვიდ წელიწადში ერთხელ.

4. მთელი ხარჯები, რაც საჭიროა სახბორეს შესანახად და ყვავილის აცრის კურსების მოსაწყობად, უნდა გაიღოს რესპუბლიკამ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის აღრიცხვით.

5. ამა დადგენილების შეუსრულებლობისათვის დამნაშავე პასუხს აგებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 234 მუხლისამებრ.

6. ამა დადგენილების განხორციელება დაეკისრება ჯანმრთელობის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს, რომელნიც გამოსცემენ სათანადო ინსტრუქციებს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ა. გეგეჭკორი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. ნაბაშვილი.**

1923 წ. ივლისის 16.

თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— ხუთშაბათს, 19 ივლისს, მე-4 უბნის ქალთა განყოფილება აწყობს დელეგატ-ქალთა ეექსკურსიას სასაკლაოს დასათვალიერებლად. ყველა დელეგატები და ქალთა ორგანიზატორები შეიკრიბებიან საუბნო კომიტეტის ბინაზე დილის 7 საათზე, საიდანაც გაემართებიან საექსკურსიო ადგილისაკენ.

წინადადება ეძლევა ყველა ამხანაგ ქალებს თავის დროზე გამოცხადნენ, დაუგვიანებლად.

ქალთა განყოფილების გამგე **ენგელიკოვა.**

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი მეგობრები აუწყებენ ნაცნობ ნათესავებს, რომ ტრაღიკულად გარდაცვალებულის

ტექნიკოსის დათიკო

ასათიანის

გასვენება მოხდება ხუთშაბათს, 19 ივლისს, ნიკოლოზის სასაფლაოზე. გამოსვენება მოხდება რკინის გზის სავადმყოფოდან 4 საათზე.

№ 974—1—1

კოჯორის თემის აღმასრულებელი კომიტეტი

აცხადებს კოჯორის აგარაკების დამქირავებელთა საყურადღებოთ, რომ ამ პირთ, ვინც ივლისის 20-მდე არ შემოიტანს მთლიანად აგარაკების სეზონის ქირას, აგარაკები ჩამოერთმევიდ. 512 2—2

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერიო პრაქტიკული კურსი**

ი. ფ. კალატნიკოვის

პლეხანოვის ქ. № 132.

აწარმოებს მიღებას ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.

კურსების გამგე **ი. პალატნიკოვი.**

0—9

საქართველოს შინა-მრეწველობის და მეაბრეშუმეობის

გამოფენა

საქართველოს გამოფენის კომიტეტი აცხადებს, რომ 23 და 24 ამა ივლისს მუშტაიდის ბაღში შინა-მრეწველობის განყოფილების და საბრეშუმო სადგურის ბინაში მოეწყობა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო და შინა-მრეწველობის გამოფენისათვის საქართველოს გამოფენის კომიტეტის მიერ დამზადებული შინა-მრეწველობის და მეაბრეშუმეობის ექსპონატების გამოფენა.

შესვლა—უფასოა: **დათვალიერება შესაძლოა დღისით 12—2 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდის.** (კვ. 975—3—1)

კომუნალური წყალსადენი

აცხადებს,

რომ წყალსადენის საჭიროებისათვის დანიშნულია წყალსადენის სახელოსნოში (კიროჩნი ქ. № 53) 20 ივლისს, დილით 9 საათზე სიტყვიერი კონკურსი 200 ცალის წყლების დამზადებაზე.

ცნობის მიღება შეიძლება წყალს. კანც. გამგესთან ოთახი № 59.

კომუნალურ მეურნ. განგე: **ელენტი.**

წყალს. კანც. გამგე საქმისმწ.: **ნ. ქვირიშიანი.**

ელექტრონის სინათლის და

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დიანოსტიკა**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სიმონ ციფციის** ხელმძღვანელობით, ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—24)

ოპერაცია

კოოპერაციის საერთაშორისო დღის ღღესასწაული ქუთაისის მაზრაში.

კოოპერაცია, როგორც მუშათა და გლეხთა დამხმარე ორგანო, სულ რამოდენიმე თვეა, რაც გამოცოცხლდა სა. ქართველოში. მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოებები „ეპო„-ები ყველა კუთხეში მოეფინა, ყველგან იხსნება განყოფილებები, რომლის ირგვლივ თანდათანობით იკრიბებიან ძველი მომხმარებლები მაშინ, როდესაც ახალი მუშურ-გლეხური კოოპერაციას საძირკველი ჩაეყარა, მოგვიხდა საერთაშორისო დღის ჩატარება.

შვიდ ივლისს ყველა კოოპერატიული დაწესებულებები, როგორც თვით ქუთაისში, ისე სხვა ცენტრებში საზეიმოთ იყო მორთული. ქუთაისის ცეკავშირის განყოფილებისა და ეპოს შენობა მწვანეში იყო გახვეული, საიდანაც მოსჩანდა სურათები ძველი კოოპერატორებისა; შესანიშნავათ იყო შემკული მთავარი მაღაზია, საწყობი, სასადილო და ყველა კოოპერატიული დაწესებულებები. ქალაქში გაკრული იყო მოწოდება, ლოზუნგები, გაზეთები და პლაკატები, რომელნიც მოუწოდებდა მომხმარებლებს შეკრებილიყვნენ კოოპერაციის ირგვლივ. ამ დღეს ყველა მაღაზიებში საქონელი იყიდებოდა დაკლებულ ფასებში მხოლოდ წევრებზედ. ახალი წევრები წიგნაკებით ხელში სიამოვნებით მიჩქაროდენ მაღაზიისაკენ, რომ შეეძინათ საქონელი. საღამოს რვა საათზე, ქუთაისის ცირკში შესდგა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 5.000 კაცამდე. უმრავლესობას შეადგენდა პროფესიონალური კავშირის წევრები. მიტინგს ხსნის საქართველოს ცენტრალური კოოპერატივთა კავშირის ქუთაისის რწმენებული, რომელიც დამსწრეთ აცნობს კოოპერაციის დღის მნიშვნელობას. შემდეგ ილაპარაკეს ცეკავშირის ინსტრუქტორმა და მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოების წევრებმა. ადამიანებს დამთავრების შემდეგ ორკესტრი უკრავდა ინტერნაციონალს. სიტყვებს კოოპერაციის ისტორიაზედ და ახალი მშენებლობაზედ დიდი ყურადღებით ისმენენ მთელი მიტინგი. მიტინგის დამთავრებისას ერთხმად გამოტანილი იქმნა სათანადო რეზოლიუცია, რომელითაც დამსწრენი აღუთქვამენ ახალი კოოპერაციას ყოველმხრივ დახმარებას. მიტინგის შემდეგ იქვე გაიმართა უფასო წარმოდგენა.

ამავე 7 ივლისს ასეთივე მრავალრიცხოვანი მიტინგი შესდგა ხონში, სადაც მოხსენება გააკეთა პარტიული კომიტეტის წარმომადგენელმა და ცეკავშირის ინსტრუქტორმა. ხალხი ძლიერ დაინტერესებულია კოოპერაციის ახალი მშენებლობით, რაც გამოიხატებოდა მათ შეკითხვებში, ხომ არ ეწვევა თანამედროვე კოოპერაციას ისეთი ბედი, როგორც წინანდელსო, როგორ აწარმოებთ პარკის ოპერაციას, სიმინდის გაძვირება მარილა კოოპერაციას დაეკალა და სხვა მრავალი შეკითხვები, რომელნიც მეედროთ დაკავშირებულია თანამედროვე მთლიანი სამომხმარებლო კოოპერაციის მშენებლობასთან. მიტინგმა ერთხმად გამოიტანა დადგენილება, რაშიც აღუთქვა ახალ კოოპერაციას დახმარება. ხონის მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოებაც შესანიშნავათ იყო მორთული სადღესასწაულოთ. საქონელს აქაც ფასი დაკლებული ქონდა, რამაც მიიპყრო ახალი წევრების სიმპატია.

მიტინგები შესდგა აგრეთვე ბაღდადში, ზეინდარში, ტყიბულში, ბრუსილში, მუხიანაში, ფარცხანაყანევში და კურსებში. ყველგან კოოპერატიული დაწესებულებები სადღესასწაულოთ იყო მორთული. მიტინგებს ერთხმად გამოქონდათ დადგენილებები ყოველმხრივი დახმარება აღმოეჩინათ მთლიანი სამომხმარებლო კოოპერაციისათვის. კოოპერაციის საერთაშორისო დღის აღსანიშნავათ ქუთაისის კოოპერატიულ ორგანიზაციებმა მიიღეს გურნის თემის შეფობა. სახბომ ქარხანას დაერქვა ამხ. მალაქია ტოროშელიძის სახელი და ქუთაისის ერთ ერთ ქუჩას გადაწყდა დაერქვას კოოპერაციის ქუჩა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ძველი კოოპერაციის უსაქმიანობით ხალხი დიდი ხანია სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი და გული აცრუებული ჰქონდათ კოოპერაციაზედ. ახალი კოოპერაციის მშენებლობამ ეს შეხედულება სრულიად შესცვალა, რადგან მომხმარებელმა დაინახა კოოპერაცია სულ ახალი, რომელსაც გვერდში მუშურ-გლეხური საბჭოთა მთავრობა უდგია.

ვლ. ცაგარელი.

ბიბლიოთეკა

საავიაციო ნაწილებში.

ამიერ-კავკასიის ყველა საავიაციო ნაწილებს ამორჩეული ყავთ ერთი სალაგერო პოლიტ-სეკრეტარატი, რომელიც ხელმძღვანელობს ყოველ გვარ მუშაობას ლაგერში. თუ კი წინეთ, მეწშვეიკ-დაშნაკ-მუსავატისტების დროს ამიერ კავკასიის ერებს შორის შური და მტრობა სუფევდა, დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ყველანი ძმურათ ერთ ყაზარმის ქვეშ ცხოვრობენ. კიდევ უფრო მეტი: სომხეთისა და ადერბეიჯანის საავიაციო ფრთა ერთ დიდ ოთახში ცხოვრობენ. ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, რომ მათ უთანხმოება მოსვლოდათ. აი ეს ყველა იმის მაჩვენებელია, რომ მშრომელ ხალხს გასაყოფი არაფერი არ აქვს და არავითარი შოვინისტური გრძნობები მათში არ არსებობენ.

პარტ-მუშაობა.

კომ უჯრედები გაერთიანებული არიან არჩეული ყავთ საერთო ბიურო კოლექტივი, სადაც შედიან: სომხეთის სამხედრო კომისარი, ადერბეიჯანის სამხედრო კომისარი და წრეების პასუხისმგებელ ორგანიზატორი. კომ-უჯრედების სხდომები იმართება კვირაში ერთხელ.

პარტწრე.

არსებობს გაერთიანებული პარტიული წრე, რომელსაც ხელმძღვანელობენ სამივე ნაწილების პასუხისმგებელი ამხანაგები. კრებები იმართება კვირაში ერთხელ.

პოლიტიკური მეცადინეობა მეთაურ-შემადგენლობასთან მიმდინარეობს რეგულიარულათ. მათში მეცადინეობაც მიმდინარეობს ლაგერის მასშტაბით.

კლუბი.

ქართული საავიაციო დივიზიონის კლუბი დღეს არის საერთო. წარმოდგენები იმართება სისტემატიურათ. წითელ არმიელები, როგორც ქართველები, ისე სომხები და თათრები კლუბის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ. კლუბი ძალიან კარგათ არის მოწყობილი. ა. წ. 10 ივლის დეზერტირების საწინააღმდეგო კამპანიის კვირეულის აღსანიშნავათ გაიმართა საღამო. წარმოდგენილი იყო „ხვედრი დეზერტირისა“ და კლუბის გამგის ამხ. კალმკაროვის მიერ, რუსულათ დაწერილი ინსცენიროვკა „დეზერტირი“.

წარმოდგენას დაესწრო ყველა ნაწილების შემადგენლობა.

სამკითხველო.

სამკითხველო ყველა ნაწილებს თავთავისი აქვთ, მაგრამ ამ სამკითხველოებით ყველანი სარგებლობენ.

— წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლა ყველა ნაწილებში არსებობს, სადაც წერა კითხვის უცოდინარნი არ არიან, იქ მცირე-მცოდნენთ ამაკადინებენ.

საერთოთ მუშაობა ნაყოფიერათ მიმდინარეობს.

ფეიქართა კავშირი

პროფტეხნიკური განათლება

პროფტეხნიკური განათლების სფეროში ფეიქართა კავშირმა მიაღწია კარგ დადებით შედეგებს. მან გახსნა სპეციალური კურსები, სადაც მოწვეულნი იყვნენ სპეც-პირები ინჟინერები და ტეხნოლოგები. კარგი ხელმძღვანელობების მეოხებით კურსებში სწავლა მალე დამთავრდება. მსმენელთა რიცხვი უდრის 40 კაცს.

ეურნალ-გაზეთების გავრცელება

ივნისის თვის განმავლობაში კავშირმა გაავრცელა პროფესიონალური ხასიათის გაზეთები რიცხვით 1387 ცალი (ადგილობრივი), 1201 (რუსეთის) და 44 ცალი მხატვრული ჟურნალი.

ბიბლიოგრაფია

ტრანსპორტზე მოსაუბარეთა კავშირში

როგორ მიდის სწავლა-განათლების საქმე

უწინარეს ყოვლისა ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირი ყურადღებას აქცევს ჯერ წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობას. კავშირმა ყველა განყოფილებებს პროვინციაში დაუგზავნა მიწერილობა, რომ ყველგან გახსნან სკოლები წერა-კითხვის უცოდინართათვის. ტფილისში ამ მიზნით კავშირს მაისში ჰქონდა გახსნილი 4 სკოლა, ხოლო ივნისს 5 სკოლა. გარდა ამისა კავშირს აქვს დაარსებული პირველ საფეხურის სკოლა.

პროფაგიტაცია და პროფაგიტაგანდა

კავშირის მიერ დაარსებულია პოლიტ-წრეები. ამ წრეების პირდაპირი დანიშნულებაა ფართედ მოაწყოს მუშათა შორის პროფპროპაგანდა და პროფაგიტაცია. წრეები სცემენ კედლიანართათვის. ტფილისში ამ მიზნით კავშირს მაისში ჰქონდა გახსნილი 4 სკოლა, ხოლო ივნისს 5 სკოლა. გარდა ამისა კავშირს აქვს დაარსებული პირველ საფეხურის სკოლა.

პროფაგიტაცია და პროფაგიტაგანდა

კავშირის მიერ დაარსებულია პოლიტ-წრე